F75 ~ 6058

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 227 (19069) სამშაბათი, 2 ოქტომბერი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

წელიწადი იწურება, მთელი ძალები გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებას!

არანახულ სიძნელეთა დაძლევით, საქმისადმი სერიოზული, სახელმწიფოებრივი მიდგომით საქართველოს მშრომელებმა, როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერში სასურველ შედეგს მიაღწიეს. წარმატებებია მოპოვებული სახალხო მეურნეობის ყველა მიმართულებით, შენარჩუნებულია წარმოების მოცულობის ზრდის სწრაფი ტემპი ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს დარგში — მრეწველობაში. საკმაოდ დამაჯერებელია მშენებლების, რკინიგზელების, სამოქალაქო ავიაციის კოლექტივის მიღწევები.

გამოვიდნენ რა შრომის ნაყოფიერების გეგმის გადამეტებით გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების დამატებითი შემცირების ერთ-ერთი ინიციატორად ჩვენს ქვეყანაში, რესპუბლიკის შრომითი კოლექტივები არ ტეხენ სიტყვას. სწორედ შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზეა მიღებული ცხრა თვეში მთელი სამრეწველო მატების აბსოლუტურად დიდი ნაწილი. ვადამდე შესრულდა რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის გამოშვების გეგმები.

საგრძნობია სოფლის მეურნეობაში მიღწეული შედეგებიც. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა ჩაის ფოთლის კრეფის, პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის მხრივ, შესამჩნევი ძვრებია რძისა და კვერცხის დამზადებაშიც, ჩქარი ტემპით მიმდინარეობს რთველი.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა მიუახლოვდა მეტად უმნიშვნელოვანეს მიჯნას — მეთერთმეტე ხუთწლედის ფინიშს. ახლა მთავარია განვამტკიცოთ მიღწეული წარმატებები, განვავითაროთ პოზიტიური ტენდენციები, ღრმად, ყოველმხრივ გავაანალიზოთ მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულების მსვლელობა, გამოვავლინოთ ვიწრო ადგილები, დისპროპორციები და მათი წარმოშობის მიზეზები. ამასთან, საჭიროა შევიმუშაოთ და განვახორციელოთ პრაქტიკული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, ზოგიერთი მაჩვენებლის მიხედვით ჩამორჩენის დაძლევისა და პოტენციურ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენებისათვის.

მართალია, ეკონომიკის ზრდის ტემპი აღემატება გეგმით გათვალისწინებულს, მაგრამ იგი არ გვაძლევს საშუალებას მივაღწიოთ რესპუბლიკისათვის აუცილებელ ხუთწლედის საკონტროლო მიჯნებს. ამ მიჯნების დაძლევა კი ეკონომიკის ყველა სფეროს მუშაკთა ღირსების საქმეა. ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი შემართებით ვიბრძოლებთ მეოთხე კვარტალის გეგმის რეალიზაციისათვის. სწორედ მეოთხე კვარტალში უნდა გავაორკეცოთ ენერგია მომავალი, ხუთწლედის დამამთავრებელი წლისათვის სოლიდური მარაგნაკვეთის შესაქმნელად, სკკპ XXVI ყრილობისათვის მიღებული სიტყვის შესასრულებლად.

მეთერთმეტე ხუთწლედის დამთავრებამდე დარჩენილი დრო უნდა გადავაქციოთ სკკპ XXVII ყრილობისათვის მზადების დიდ ეტაპად. ამ საქმეს უნდა დაუკავშირდეს საბჭოთა ხალხის სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავისა და სტახანოვური მოძრაობის 50 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, საბოლოოდ აღმოვფხვრათ შრომითს მეტოქეობაში ჯერ კიდევ არსებული ფორმალიზმი, უფრო ქმედითი გავხადოთ შეჯიბრება.

მეოთხე კვარტალი — პასუხსაგები მიჯნა!

ახლა, როცა გადამწყვეტი მნიშვნელობა მთლიანად ჩავება საქმეში, დროა უმოკლეს ხანში წარმოების მოცულობის ზრდის მიხედვით კვლავ მიმდინარე წლის პირველი თვეების დონეს ვუსწორდეთ. მაშინ იმ მიზნის მიღწევას, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, წინ ვერაფერი დაუდგება. ამით კი რესპუბლიკისათვის აუცილებელ მაჩვენებელს ბევრად გავუსწრებთ, თუ მეტს მიაღწევენ რუსთავის „ქიმბოჭკოს" და „აზოტის" საწარმოო გაერთიანებების, „ელვას" სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტისა და მთელ რიგ სამინისტროთა ზოგიერთი საწარმო, რომლებიც რვა თვის შედეგების მიხედვით ვალში არიან სახელმწიფოს წინაშე.

დიახ, ძალზე დამაჯერებელ შედეგს მივაღწევთ, თუ მეტი მონდომებით იმუშავებენ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა კოლექტივები, რომლებმაც ვერ დაძლიეს დავალებით გათვალისწინებული წარმოების მოცულობის ზრდის მიჯნა. ცუდია, რომ ადგილზე პარტიული ორგანოები ურიგდებიან საქმის ასეთ ვითარებას, არ იჩენენ პრინციპულ მომთხოვნელობას ამგვარი ფაქტებისადმი, არ ამაღლებენ იმ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მებრძოლურობას, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული წარმოებასთან და შეუძლიათ დარაზმონ მშრომელები მათ წინაშე მდგომი ამოცანის უთუო გადაწყვეტისათვის.

დასანანია, რომ ვერ სრულდება ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციის გამოშვების გეგმები. მართალია, ცხრა თვის გეგმის შესრულების ყველა საბოლოო შედეგი ჯერ ხელთ არა გვაქვს, მაგრამ რვა თვის მაჩვენებლების მიხედვით ჩამორჩენა ნავთობის, საავტომობილო ბენზინის, ფოლადის მილების, მინერალური სასუქის, ამიაკის, ქიმიური ბოჭკოს, ცემენტის, შალის ნართისა და ქსოვილის, ტყავის ფეხსაცმლისა და სხვა დასახელების პროდუქციის წარმოებაში. ამ დანაკლისის შესავსებად მეოთხე კვარტალში საჭირო იქნება ძალების მაქსიმალური მობილიზაცია.

ახლო მომავალში შრომის ნაყოფიერების ზრდის მიმართულებით უკეთესი შედეგისათვის, ყველაფერი უნდა იღონონ „საქქვანახშირის", „ჭიათურმანგანუმის", „საქხილმანქანის" საწარმოო გაერთიანებების, თბილისის „აგრეგატის", ცხინვალის „ემალსადენის", ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნებისა და ზოგიერთი სხვა საწარმოს კოლექტივებმა.

ვერა და ვერ შეეგუებიან სახელმწიფო სტანდარტების დარღვევას, საერთოდ, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის შენელებას. რვა თვის მონაცემებით ეს, უპირველესად, რესპუბლიკის ხალხის მასალათა მრეწველობის და ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროების, „ელმავალმშენებლის", „საქელექტრომანქანის", „საქიფქიმიის" საწარმოო გაერთიანებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელობას ეხება.

სერიოზული ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვასთან დაკავშირებული მაჩვენებლების გაუმჯობესება. ამ მხრივ მუშაობა უნდა გააუმჯობესონ და საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელს მიაღწიონ მთელმა რიგმა საწარმოებმა.

ჩვენში ერთი და ორი როდია სამრეწველო საწარმო, რომელთა კოლექტივები მიმდინარე ხუთწლედში სტაბილურობით გამოირჩევიან. მათი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები მეტად საგულისხმოა და მათ უნდა ვუსწორდეთ, ვეზიაროთ მათ გამოცდილებას. მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, დავასახელებთ „საქხამთოქიმმრეწვის" საწარმოო გაერთიანებისა და თბილისის ცხიმკომბინატის კოლექტივებს. მიუხედავად მრავალი სიძნელისა, კარგად იღვწის საბოლოო შედეგებისათვის „ელექტროაპარატის" კოლექტივიც. მიმდინარე წლის ყველაზე დაძაბულ თვეში — აგვისტოში ელექტრიკოსებმა პროდუქციის გამოშვების დამატებითი დავალება მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს და ეს ფაქტი აღინიშნა კიდეც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე, რომელზეც განიხილეს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე წლის რვა თვის შედეგები და მესამე კვარტალის წარმატებით დამთავრების ამოცანები. დიდ სიძნელეთა დაძლევით აღწევს აგრეთვე სასურველ შედეგს მეორეული შავი ლითონების საწარმოო გაერთიანება და ზოგიერთი სხვა ორგანიზაცია.

მაშ ასე, დადგა პასუხსაგები ეტაპი, რომელმაც უნდა განსაზღვროს, თუ როგორ შევასრულებთ მიმდინარე ხუთწლედს. რესპუბლიკის ყველა საწარმოს, გაერთიანების, სამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციების კოლექტივები, როგორც გაზეთ „კომუნისტის" რედაქციაში შემოსული ცნობები მოწმობს, განაგრძობენ ახალი რეზერვების ძიება-გამოვლინებას, ყურადღებას უთმობენ სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, მოწინავე მეთოდებისა და გამოცდილების დანერგვას, საფინანსო დისციპლინის განმტკიცებას.

მათ, სამოქმედო პროგრამად გაიხადეს ის მოცანები, რომლებიც დასახულია ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენებაში პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე მიმდინარე წლის სექტემბერში.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, სამინისტროთა, უწყებათა გაერთიანებათა, საწარმოთა ხელმძღვანელები ვალდებული არიან განახორციელონ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც ხელს შეუწყობს მეოთხე კვარტალისა და საერთოდ მეთერთმეტე ხუთწლედის ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტას.

მოწინავეთა მხარდამხარ

გიორგი მესხი თბილისის მეტროპოლიტენის გლდანის ხაზის თემქის სადგურის № 84 შახტის გვირაბგამყვანია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. 24 წელია კომუნისტი გ. მესხი „თბილისგვირაბმშენის" სისტემაში მუშაობს. დიდი პროფესიული ოსტატობა მას საშუალებას აძლევს მუშაობაში საუკეთესო შედეგებს მიაღწიოს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტის „კაზმისა და ფეროშენადნობთა მომზადების" ლაბორატორიის ლაბორანტი — ნინო კეშელავა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არაორგანული ქიმიის სადამო ფაკულტეტის V კურსის სტუდენტია. ნინო შემოქმედებითად მუშაობს. მან კოლეგების პატივისცემა დაიმსახურა, როგორც თავისი პროფესიის ჩინებულად მცოდნე სპეციალისტმა.

თბილისში, კიროვის რაიონში მიმდინარეობს თერმული წყლების ძიება. მშენებლობას და საბურღავ დანადგართა მონტაჟს აწარმოებს „საქგეოლოგიის" თერმული წყლების ღრმა დაზვერვის ექსპედიცია.

სურათზე: გივი ექოშვილი, რომელმაც 1980 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ელექტრიკოსად მუშაობს ზემოხსენებულ ექსპედიციაში და დიდი ავტორიტეტი აქვს.

ა. საავოვის ფოტო.

არის ხუთწლედის დავალება

სასაქონლო პროდუქციის გამოშვების მეთერთმეტე ხუთწლედის დავალება შეასრულა ცხინვალის საქალაქო სამრეწველო კომბინატის კოლექტივმა (დირექტორი — ვ. გობოზოვი, მთავარი ინჟინერი — ი. თაძალოვი). აქ აწარმოეს 18.158 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც ხუთწლედის დავალებას 518 ათასი მანეთით სჭარბობს. შრომის ენთუზიასტების გადაწყვეტილებაა ხუთწლედის დამლევამდე გამოუშვან სულ ცოტა 7 მილიონი მანეთის პროდუქცია.

პროდუქცია — მხოლოდ მაღალი ხარისხისა! — ეს არის სამოქმედო ორიენტირი. აქ მთელი პროდუქცია მხოლოდ უმაღლესი და პირველი კატეგორიისაა. წლეულს სახელმწიფო ხარისხის ნიშნით დამზადდა 210 ათასი მანეთის ნაწარმი. ამიტომაც დიდია მოთხოვნა მათ მიერ გამოშვებული სახალხო მოხმარების საქონელზე. იგი იგზავნება როგორც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, ისე ბალტიისპირეთში, ყაზახეთში, ბამზე...

გ. თედეევი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

მშობელი ხალხის ცხოვრების სარკე

ლეო ქიაჩელის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო

1 ოქტომბერს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, სადაც გაიმართა ლ. ქიაჩელის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, შეიკრიბნენ საქართველოს ლიტერატურული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მშრომელები, ახალგაზრდობა.

საიუბილეო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად მოვიდნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. დ. გაბუნია, პ. გ. გილაშვილი გ. ნ. ენუქიძე, ო. ე. ჩერქეზია.

საიუბილეო საღამოს მონაწილეებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი ახლახან გარდაცვლილი ლენინური პრემიის ლაურეატის, თვალსაჩინო ქართველი საბჭოთა მწერლის ნოდარ დუმბაძის ხსოვნას.

საღამო გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა გ. ციციშვილმა.

ლ. ქიაჩელის ცხოვრებისა და შემოქმედებითი გზის შესახებ მოხსენება საღამოზე გააკეთა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ჭ. ჩარკვიანმა.

ლეო ქიაჩელის შემოქმედების წარუვალი მნიშვნელობის შესახებ ილაპარაკეს საიუბილეო საღამოზე გამოსვლისას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჯიბლაძემ, მწერლებმა ქ. ამირეჯიბმა, ხ. ბერულავამ, გ. გუბლიამ, რ. ასაევმა, კრიტიკოსებმა ვ. ჟღენტმა, ო. დოიაშვილმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ე. ცისკარიძემ, სომხეთის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ა. გრიგორიანმა, პარტიის წალენჯიხის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. ჯახაიამ.

დასასრულ გაიმართა საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. (საქინფორმი).

ზეიმი მწერლის სამშობლოში

გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მწერლის ლეო ქიაჩელისადმი ღრმა მადლიერების გრძნობით აღნიშნეს მისმა თანამემამულეებმა — წალენჯიხის რაიონის მშრომელებმა მწერლის დაბადების 100 წლისთავი.

წალენჯიხაში ჩამოვიდნენ ცნობილი ქართველი ლიტერატორები, საბჭოთა და საზღვარგარეთელი მწერლები, რომლებიც მონაწილეობდნენ აზია-აფრიკის ხალხებთან სოლიდარობის თბილისის V საბჭოთა კონფერენციაში.

საიუბილეო საღამო გახსნა პარტიის წალენჯიხის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. ჯახაიამ.

საღამოზე გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნები გ. ციციშვილი და ჭ. ჩარკვიანი, მწერლები ხ. ბერულავა, რ. ინანიშვილი, რ. ასაევი, მ. აკობია და ა. რუხაძე, პროფესორი ა. თოდუა, რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები შ. ფიფია, ვ. მებონია და ვ. კვარაცხელია, რომლებმაც ილაპარაკეს ლეო ქიაჩელის—დიდი საბჭოთა მწერლის, სახელმოღვაწის მამულიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

განსაკუთრებით გულთბილი შეხვედრა გაიმართა წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში.

სოფლის ცენტრში, სადაც მდებარეობს ბიბლიოთეკა, რომელიც ლეო ქიაჩელმა აჩუქა თანსოფლელებს, გაიმართა მისი სახლ-მუზეუმისა და ბიუსტის გახსნისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგი. ბიუსტის ავტორია ო. ფარულავა.

საინტერესოდ ჩაიარა შეხვედრამ საშუალო სკოლაში, რომელსაც გამოჩენილი ქართველი მწერლის სახელი მიენიჭა.

30 სექტემბერს საიუბილეო ზეიმი — შეხვედრები, მიტინგები, ლიტერატურული კომპოზიციები გაგრძელდა ზუგდიდში, სადაც სწავლობდა ლ. ქიაჩელი.

ლ. ქიაჩელის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე. (საქინფორმი).

ქინვალი: დადგა დამამთავრებელი ეტაპი

„ურაგანის" ტიპის მძლავრი ავტოსაწეველები დასპირდათ იმისათვის, რომ ჟინვალის კომპლექსური ჰიდროკვანძის მშენებლობაზე მიეტანათ 130-ტონიანი ძალური ტრანსფორმატორები.

— მშენებლობაზე დამამთავრებელი ეტაპი დაიწყო, — გვაცნობა ჟინვალის ჰიდროკვანძის მშენებლობის სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა გიორგი შალამბერიძემ.

უმნიშვნელოვანეს მშენებლობაზე

— დავამთავრეთ მიწაკლდის სამუშაოები 130 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მიწისქვეშა დარბაზის ასაშენებლად, სადაც მთელი სვლით მიმდინარეობს შიდა ზედაპირის ბეტონით მოპირკეთება. ზუსტად იცავენ გრაფიკს მთავარი წყალსატარის მშენებლები: პროექტით გათვალისწინებული 42 კილომეტრიდან მზად არის თითქმის 36 კილომეტრი.

ჟინვალის ჰიდროკვანძი მკვეთრად გააუმჯობესებს თბილისისა და რუსთავის წყალმომარაგებას. მოამწესრიგებს მთისწინა რაიონების ენერგომომარაგებას. მისი მშენებლები მზად არიან ობიექტი გაისად ჩააბარონ. (საქინფორმი).

ჩვენ და ტრანსპორტი

მხოლოდ კონტეინერებით

რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს დაქვემდებარებულმა კოლექტივებმა ძალზე საგრძნობი წვლილი შეიტანეს იმ წარმატებაში, რომელსაც ჩვენმა სახალხო მეურნეობამ მიაღწია. მიმდინარე წლის რვა თვეში მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა როგორც ტვირთზიდვისა და ტვირთბრუნვის, ისე მგზავრთა გადაყვანისა და მგზავრთბრუნვის სახელმწიფო გეგმები. აღსანიშნავია, რომ მგზავრთა გადაყვანა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 6,6 პროცენტით გადიდდა. დამაჯერებელია საერთო შემოსავლისა და მოგების ზრდასთან დაკავშირებული შედეგები. ყურადსაღებია სამინისტროს სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მონაცემებიც. არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ არანაკლებ დამაჯერებელი იქნება სამინისტროს მიღწევები მესამე კვარტალისა და საერთოდ ცხრა თვის შედეგების მიხედვით.

ხუთწლედის განვლილ პერიოდში, როგორც ცნობილია, სამინისტროს ხაზით დაინერგა მრავალი სიახლე. მწყობრში ჩადგა ერთი და ორი მეტად საჭირო ობიექტი.

რა სამუშაოები შესრულდება სამინისტროში ხუთწლედის დამთავრებამდე დარჩენილ დროში? ყველა მათგანის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ზოგიერთ მნიშვნელოვან სამუშაოზე მოგახსენებთ.

მიმდინარე წლის დამლევამდე უნდა ამოქმედდეს, მაგალითად, ახალი, 650 მსუბუქი და 300 სატვირთო ავტომობილებისათვის გათვალისწინებული საწარმოები თბილისში, 150 ავტომობილს მიიღებს ქ. წნორის ახალი საწარმოც. მწყობრში ჩადგება 200 ვაგონი ტევადობის ტრამვაის დეპო, ხაშურის სატვირთო ავტოსადგური, რომელიც დღე-ღამეში 1000 ტონამდე ტვირთის გადაამუშავებს. საკონტეინერო მოედნები ამოქმედდება ქ. ფოთსა და ქ. ზესტაფონში.

რადგან საკონტეინერო ზიდვაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის საავტომობილო სამინისტროს მუშაობა ამ მიმართულებით კარგად მიმდინარეობს. მარტო რვა თვეში უნივერსალური საავტომობილო კონტეინერებით გადაიზიდა 126,20 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო საქონელი, გეგმა კი 121,3 ათას ტონას ითვალისწინებდა. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით კონტეინერებით ტვირთზიდვის მოცულობა 12,5 პროცენტით გაიზარდა და ეს, მართლაც, დამაჯერებელი შედეგია. წლის დამლევამდე კონტეინერებით კიდევ გადაიზიდება 69 ათასი ტონა ტვირთი და ამით ხელი შეეწყობა მომავალი წლის ბაზის განმტკიცებას. მეთერთმეტე ხუთწლედის დამლევისათვის ტვირთზიდვის მთელ მოცულობას სამინისტროს ხაზით მხოლოდ და მხოლოდ კონტეინერები უზრუნველყოფენ.

შ. ამაშუკელი.

„სალუტ-7" სადგურის ეკიპაჟი სამშობლოს დედამიწაზე ბრუნდება

...სოლოვიოვმა და ოლეგ ატკოვმა მთლიანად შეასრულეს „სალუტ-7" სადგურზე სამეცნიერო კვლევის პროგრამა და ხვალ დედამიწაზე ბრუნდებიან.

დღეს ეკიპაჟი ამოწმებს „სოიუზ ტ-11" ხომალდის საბორტო სისტემების მუშაობისუნარიანობას, დასაშვებ აპარატში გადააქვს და ალაგებს გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების მასალებს, ხოლო საცხოვრებელ ნაკვეთურში — გამოუყენებელ მოწყობილობას. კოსმონავტები ასრულებენ სამეცნიერო აპარატურისა და სადგურის ცალკეული აგრეგატების დაკონსერვების დასახულ ოპერაციებს, იღებენ კომპლექსში ჰაერისა და მიკროფლორის სინჯებს შემდგომი ლაბორატორიული ანალიზისათვის. დღის მანძილზე ისინი აგრეთვე შეასრულებენ ფიზიკურ ვარჯიშს და წვრთნას „ჩიბისის" ვაკუუმკოსტიუმის გამოყენებით.

ტელემეტრიული გაზომვის შედეგებისა და ეკიპაჟის მოხსენებების მიხედვით „სალუტ-7"-„სოიუზ ტ-11" ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

ლეონიდ კიზიმი, ვლადიმერ სოლოვიოვი და ოლეგ ატკოვი თავს ჯანმრთელად და კარგად გრძნობენ.

გაეცნენ რესპუბლიკას

30 სექტემბერს, როცა აზია-აფრიკის ხალხებთან სოლიდარობის V საბჭოთა კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა, მისმა მონაწილეებმა და საზღვარგარეთელმა სტუმრებმა რესპუბლიკაში იმოგზაურეს, კერძოდ, ისინი ესტუმრნენ გორის, ბორჯომის, გურჯაანის, საგარეჯოს, თელავის, ყვარლის რაიონებს, შეხვდნენ საწარმოებისა და დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელთა კოლექტივებს, დაათვალიერეს ღირსშესანიშნაობანი, მონაწილეობა მიიღეს რთველში.

თბილისიდან გაემგზავრნენ

30 სექტემბერსა და 1 ოქტომბერს თბილისიდან გაემგზავრნენ აზია-აფრიკის ხალხებთან სოლიდარობის V საბჭოთა კონფერენციის მონაწილეები.

თბილისის აეროპორტში სტუმრები გააცილეს ამხანაგებმა გ. ნ. ენუქიძემ, ო. ე. ჩერქეზიამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგემ პ. პ. ჩხეიძემ, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

(საქინფორმი).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს ლი სიანიანს

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარეს პენ ჟენს

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერს ჟაო ძიანს

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 35-ე წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო საბჭოთა ხალხის სახელით ულოცავენ და ყოველივე სიკეთეს უსურვებენ ჩინელ ხალხს.

ჩინეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვებამ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადებამ დაავგვირგვინეს იმპერიალიზმის, ფეოდალიზმისა და რეაქციის ძალების წინააღმდეგ ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის ჩინელ მშრომელთა ხანგრძლივი და თავდადებული ბრძოლა, წინამძღვრები შეუქმნეს სოციალისტური გზით ჩინეთის განვითარებას. მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების ერთგული საბჭოთა კავშირი მტკიცედ და თანამიმდევრულად ემხრობოდა ჩინეთის რევოლუციას, უწევდა მას ყოველმხრივ მხარდაჭერას. ჩინელ მშრომელებს საბჭოთა კავშირის სახით მუდამ ჰყავდათ ერთგული მეგობარი და მოკავშირე ახალი ჩინეთისათვის ბრძოლაში.

ხელმძღვანელობს რა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის დარგში თავისი პრინციპული კურსით, ჩვენი ქვეყანა მუდამ ემხრობა მის გაჯანსაღებას, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო საქმეებში სოციალიზმის როლის ამაღლებას და რასაც კმაყოფილებით აღიქვამენ მსოფლიოს ხალხები. საბჭოთა კავშირი მოელენათა ასეთი განვითარების თანამიმდევრული მომხრეა.

ამ ღირსშესანიშნავ დღეს დიდ ჩინელ ხალხს ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს ეკონომიკურ და კულტურულ მშენებლობაში, ბედნიერებასა და აყვავებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ახალი სეზონი: გეგმები, ფიქრები

ყვავილები მარჯანიშვილს

ერთი დღე პოლონელი რეჟისორის ცხოვრებიდან, რომელმაც სპექტაკლი დადგა ქართულ თეატრში

როცა 28 სექტემბრის საღამოს ბოგდან ჰუსაკოვსკი მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე გამოვიდა, რათა მადლობა გადაეხადა მაყურებლისათვის, საკვებით შეეძლო თავი ბედნიერ ადამიანად ეგრძნო. მისი ხელმძღვანელობით ქართულ თეატრში შეიქმნა ორიგინალური სპექტაკლი, რომელმაც უდავოდ წამყვანი ადგილი დაიკავა ტადეუშ რუჟევიჩის პიესის „კარტოთეკის" მრავალ ინტერპრეტაციას შორის. შეიქმნა სპექტაკლი, რომელშიც ერთმანეთს შეერწყა პოლონეთის თეატრალური ტრადიცია და ქართული სცენური კულტურა. თანამედროვე პოლონური დრამატურგიის კლასიკის ამ მეტად რთული ენა გაიგო დარბაზმა. იგი მოგვითხრობს ადამიანზე, რომელიც ებრძოდა სამშობლოს მტრებს, იყო მამაცი მებრძოლი, თავს სწირავდა ადამიანებისათვის, ომის შემდეგ კი გარემოებებისა და ობივატელობის დაემორჩილა. გრწყინვალედ გაართვა გმირის ქართულის როლს თავი მსახიობმა გივი ბერიკაშვილმა, რომელიც საათ-ნახევარი სცენური დროის განმავლობაში მაყურებელს უჩვენებს როგორ ცხოვრებასა და ბედს. მარჯანიშვილის თეატრის ამ ახალი ვარსკვლავის გვერდით ციაგდა არანაკლებ თვალსაჩინო მსახიობთა თანავარსკვლავედი. თბილისელებმა მიიღეს ბეჟან მილეცოს ტევადი და ამასთან დეტალურად ზუსტი სცენოგრაფია. თვითონ ბოგდან ჰუსაკოვსკიმ, წმინდა მხატვრული აღმოჩენების გარდა, ბევრი რამ აღმოაჩინა თავისთვის როგორც ადამიანმა, შეიძინა მეგობრები, ისწავლა ქართულად ლაპარაკი...

ყოველივე ამის შესახებ მას შეეძლო ეთქვა მაყურებლისთვის, როცა მადლობას უხდიდა, მაგრამ არ თქვა — ძველი თეატრალური ტრადიციისამებრ დამდგმელმა მხოლოდ მადლობა უნდა გადაუხადოს დარბაზს.

28 სექტემბრის დღე დამთავრდა ისე, როგორც უნდა დამთავრებულიყო — ტაშით. დაიწყო კი იმით, რომ ბოგდან ჰუსაკოვსკი და ბეჟან მილეცო ავიდნენ მთაწმინდაზე და ყვავილებით შეამკეს კოტე მარჯანიშვილის საფლავი.

მარჯანიშვილის თეატრში სპექტაკლ „კარტოთეკის" პრემიერას დაესწრო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს მრჩეველი ზბიგნევ დომინი. (საქინფორმი).

პრემიერით დაიწყეს

გასულ შაბათს სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო ქართული დრამატული თეატრის კოლექტივმა ახალი სეზონი პრემიერით დაიწყო: მაყურებელმა ნახა დ. გულიას დრამა „არწივები", ეს პიესა პირველად იდგმება ქართულ სცენაზე და ეძღვნება აფხაზეთის სახალხო პოეტის დ. გულიას დაბადების 110-ე წლისთავს.

სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა გ. ქავთარაძემ; მხატვრულად გააფორმა აფხაზეთის ასსრ დამსახურებულმა მხატვარმა თ. ძეანიამ; მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის ტ. ბერამელაძეს. სპექტაკლში გამოყენებულია ო. თაქთაქიშვილის, გ. ყანჩელის მუსიკა და აფხაზური ხალხური მელოდიები.

პრემიერის დღეს თეატრის კოლექტივმა გვირგვინებით შეამკო აფხაზეთის სახალხო პოეტის დ. გულიას ძეგლი.

იმის შესახებ, თუ რა გეგმები აქვს სადღესისოდ კოლექტივს, გვესაუბრება თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი გ. ქავთარაძე:

— წლევანდელი თეატრალური სეზონი ჩვენთვის მეტად დაძაბული და პასუხსაგები იქნება. იმდენად რამდენადაც 1985 წლის 10 აპრილს ჩვენი თეატრი მოსკოვში იწყებს გასტროლებს. ეს იქნება სოხუმის ქართული თეატრის პირველი გასვლა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში.

ამავე დროს გრძელდება ჩვენი ურთიერთობა ბრატისლავის თეატრ „ნოვა სცენასთან". მისი რეჟისორი ონდრეი შულაი და მხატვარი იოზეფ ცილერი სოხუმში დგამენ ცნობილი სლოვაკი მწერლის ვლადისლავ ბალეკის რომანს „აკაცია", ხოლო მე საპასუხო ვიზიტით გავემგზავრები ბრატისლავაში, რათა „ნოვა სცენას" თეატრში დავდგა მაქსიმ გორკის პიესა „ფსკერზე". პრემიერა ნავარაუდევია 15 დეკემბრისათვის. მარტში ჩვენი მაყურებელი იხილავს ჩეხოვის „თოლიას", ხოლო აპრილის პირველ რიცხვებში გაიმართება მ. მრევლიშვილის „ხარატაანთ კერას" პრემიერა, დადგმას განახორციელებს მეტეხის თეატრის მთავარი რეჟისორი ხანდრო მრევლიშვილი. სპექტაკლი ეძღვნება ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავს. ეს ორივე პიესა შევა მოსკოვის საგასტროლო რეპერტუარში.

ყველანაირად შევეცდებით ჩვენი ძალები დავრაზმოთ იმისათვის, რომ საქმით ვუპასუხოთ იმ ზრუნვასა და ყურადღებას, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, საზოგადოებრიობა იჩენს ჩვენი თეატრალური კოლექტივის მიმართ. თქვა დასასრულ გ. ქავთარაძემ.

ი. გობეჩია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

განახლებულ შენობაში

ახალი თეატრალური სეზონი გახსნა თბილისის ს. შაუმიანის სახელობის სახელმწიფო სომხურმა დრამატულმა თეატრმა, გახსნა ორი წლის შესვენების შემდეგ, რომელიც გამოწვეული იყო შენობის კაპიტალური რემონტით. ამ მოვლენის გარდა ახალი სეზონი სომხური დრამის თეატრისთვის იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ იგი საიუბილეოა — 125-ე.

აღსანიშნავია ისიც, რომ თეატრს ახალი დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ჰყავს — ცნობილი მთარგმნელი გივი შაჰნაზარი.

თეატრს უკვე ორი სარეპეტიციო დარბაზი აქვს, — თქვა გ. შაჰნაზარმა, — ეს კი, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს მის შემოქმედებითს მუშაობას.

რეპერტუარში კვლავ გვექნება გ. სუნდუკიანის უკვდავი ნაწარმოები „პეპო". დადგმების აგრეთვე ა. შირვანზადეს „ბოროტი სული", ედუარდო დე ფილიპოს „ქუჩის სამოთხეში", ა. მაგინიანის „ფეტული", პ. ზეითუნციანის „არშაკ II" და სხვა ნაწარმოებები, რომლებშიც მაყურებელი შეხვდება თეატრის როგორც ცნობილ და აღიარებულ მსახიობებს, ისე ახალ თაობასაც.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავს კი მიეძღვნება ა. გევორქის „ჰაემანი ცაში".

სომხური დრამის თეატრი თავისი მდიდარი ისტორიის მანძილზე ყოველთვის ასრულებდა ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის, ინტერნაციონალიზმის დიდი გრძნობის კიდევ უფრო გაძლიერების საპატიო მისიას. თეატრის ყოველი წარმატება ისევე ახარებდათ თბილისში მცხოვრებ სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს, როგორც სომეხ მაყურებელს. ჩვენ კვლავაც ვგრძნობთ ამ სიყვარულს და შევეცდებით მაღალი შემოქმედებით ვუპასუხოთ მას.

(„კომუნისტის" კორ.)

დაიწყო ახალი სასწავლო წელი პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში

სწავლების ეფექტიანობის გადიდებისათვის

ახორციელებს რა პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მშრომელთა შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა, კონკრეტული ღონისძიებანი განახორციელეს პარტიული სწავლების, მასობრივ-პოლიტიკური განათლების ქსელის მუშაობის სტილის შეცვლის, მეცადინეობათა აქტიური ფორმების ყოველმხრივ განვითარებისა და მისთვის პრაქტიკული მიმართულების მინიჭებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სკოლებსა და სემინარებში მეცადინეობათა მეცნიერული დონის ამაღლებას, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, მარქსის, ენგელსის, ლენინის შრომების შესწავლას, კომუნისტების თვითგანათლების მეთოდის ფართო გამოყენებას. ორჯერ მეტად გაიზარდა ინდივიდუალური გეგმით თვითგანათლებაზე მომუშავე კომუნისტების რაოდენობა. პარტიის ბევრ საქალაქო და რაიონულ კომიტეტთან დამატებით შეიქმნა კონსულტანტთა შემოქმედი სემინარები და სხვ.

მეცადინეობის მთავარი მიმართულება გახდა მასების პოლიტიკური შეგნებისა და შრომითი აქტიურობის გაზრდა. პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის, განვითარებული სოციალიზმის აქტიური პრობლემების ღრმა შესწავლა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, სასურსათო პროგრამის, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმების პრაქტიკული განხორციელების საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კონტრპროპაგანდას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ კიდევ უფრო დაიხვეწა პროპაგანდისტთა და კონსულტანტთა კადრების შერჩევისა და აღზრდის სისტემა. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნეს მუშაობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურ სახლთან შექმნილმა პროპაგანდისტთა შემოქმედმა და ზონალურმა კურსებმა, ორატორული ხელოვნებისა და პროპაგანდის ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების თეორიისა და მეთოდიკის სკოლებმა. პარტიულ კომიტეტთან შექმნილ შემოქმედ სემინარებში მეტი ყურადღება მიექცა პროპაგანდისტთა ინტერესებზე მომზადებას, სოციალისტური ცხოვრების წესის უპირატესობისა და ბურჟუაზიული პროპაგანდის რეაქციული არსის მხილებას.

პროპაგანდისტთა რესპუბლიკური სათათბირო, საქალაქო, რაიონული კურსებისა და სემინარების მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ხელმძღვანელი, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები.

პარტიული კომიტეტები ორგანიზებულად ახორციელებენ პროპაგანდისტთა ატესტაციას.

დიდი ყურადღება დაეთმო პროპაგანდისტთა საინფორმაციო და მეთოდიკური მასალებით უზრუნველყოფას. პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლი პარტიულ კომიტეტებს სისტემატურად აწვდის ინფორმაციებს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შესრულების შესახებ, აგრეთვე სხვადასხვა რეკომენდაციას ორგანიზაციული, თეორიული და მეთოდიკური მუშაობის საკითხებზე, რომელთა საფუძველზე პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პოლიტიკური განათლების კაბინეტები თავის მხრივ ადგილობრივი მონაცემების გამოყენებით ანალოგიურ მასალებს ამზადებენ პროპაგანდისტებისათვის. პარტიის რუსთავის საქალაქო, თბილისის კალინინისა და პირველი მაისის, ბორჯომის, ხაშურის რაიონულმა კომიტეტებმა პროპაგანდისტთა დასახმარებლად მოამზადეს და გამოსცეს მეთოდიკური მასალები, პარტიის სიღნაღის, ორჯონიკიძის, გარდაბნის რაიონულმა კომიტეტებმა პლაკატების, ბუკლეტების ფორმით განაზოგადეს მოწინავე პროპაგანდისტების გამოცდილება, პარტიის ქუთაისის საქარხნო რაიკომმა გამოსცა სპეციალური მეთოდიკური ნიმუშ[…]

[…]ენი პროპაგანდისტული მუშაობის მეთოდიკის საკითხებზე, ხოლო ლენინის რაიონულმა კომიტეტმა პარტიული პროპაგანდის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სრულყოფის მიზნით მოაწყო საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე პოლიტგანათლების კაბინეტების დათვალიერება-კონკურსი და სხვ.

უფრო ფართოდ დაინერგა სწავლების ისეთი აქტიური ფორმები, როგორიცაა არის პრობლემური სწავლება, რეფერატებისა და მოხსენებების განხილვა, კონფერენციების, დისპუტების მოწყობა, მეცადინეობათა ორგანიზაცია მუზეუმებში, ტექნიკური საშუალებების გამოყენება, ღია მეცადინეობანი, პროპაგანდისტთა გაცვლა მომიჯნავე დარგისა და სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულ საწარმოთა შორის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრაქტიკა და სხვ. პარტიული სწავლების სისტემის მსმენელთა თითქმის 45 პროცენტი თვითონ მუშაობს ლექტორად, მომხსენებლად, პოლიტინფორმატორად, აგიტატორად, ეწევა დამრიგებლობას, მონაწილეობს სხვადასხვა საბჭოს, ბიუროებისა და კომისიების მუშაობაში.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად კიდევ უფრო გაუმჯობესდა პროპაგანდისტთა შემადგენლობა. ამაღლდა მათი პოლიტიკური შეგნებისა და შრომითი აქტიურობის დონე. ამჟამად მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემაში მომუშავე პროპაგანდისტთა 94 პროცენტს, ხოლო პარტიული სწავლების სისტემაში 98 პროცენტზე მეტს უმაღლესი განათლება აქვს. პროპაგანდისტებს შორის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო მუშაკია 71 პროცენტი.

პროპაგანდისტები აქტიურ დახმარებას უწევენ მსმენელებს სოციალისტური ვალდებულებების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, თვითღირებულების შემცირების და სხვა გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში ჯერ კიდევ მთლიანად დაძლეული არ არის ფორმალიზმი. ზოგიერთ სკოლასა და სემინარში მეცადინეობანი მოუმზადებლად, დაბალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ეწყობა, მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ ვერ ჩა[…]

მოყალიბდა პროპაგანდისტთა კადრებთან მუშაობის მწყობრი სისტემა, ნაკლები ყურადღება ეთმობა სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, მოწინავე პროპაგანდისტული მუშაობის შესწავლასა და განზოგადებას.

[illegible]

[…]ალგაზრდობა უნდა შეიარაღონ მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციური მოძღვრებით, ჩამოუყალიბონ მათ კომუნისტური შეგნება, კომუნიზმის აშენებისათვის მზადყოფნა, ნებისყოფა და უნარი, ჩაუნერგონ მათ სამშობლოს აყვავებისა და უშიშროებისათვის ისტორიული პასუხისმგებლობის გრძნობა.

დ. კიკნაძე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე, პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის გამგე.

გაამდიდროს საკუთარი წარმატებებით

საქმიანი, საინტერესო სწავლები გაიმართა თბილისის № 3 სამუსიკო სასწავლებელში პირველ მეცადინეობაზე.

[illegible]

[…]ვეულით" — ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის ამ სიტყვებით დაიწყო თავისი გამოსვლა სასწავლებლის დირექტორმა ირაკლი ჯოხაძემ.

იგი ათეული წელია პროპაგანდისტია, და მისი მეცადინეობა ყოველთვის მიმზიდველი და სა[…]

[illegible]

[…]რის, მუსიკის, სახვითი ხელოვნების, ესთეტიკის შესაძლებლობანი, რომლებსაც დიდი შემეცნებითი და აღმზრდელობითი ძალა აქვს".

მომხსენებელმა თავისი გამოსვლა დაამთავრა ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვებით: პარტიას თავის ამოცანად მიაჩნია ის, რომ ახალგაზრდობა ისეთი ახალგაზრდობა, რომელსაც შეეძლება არა მარტო ითვისოს უფროსი თაობის გამოცდილება, არამედ გაამდიდროს კიდეც იგი საკუთარი წარმატებებით.

პირველი მეცადინეობა მე-3 სამუსიკო სასწავლებელში იმის საწინდარია, რომ აქაური პედაგოგები იქნებიან უფრო მომთხოვნი და პრინციპულნი, ყველაფერს იღონებენ მომავალი თაობის ესთეტიკური აღზრდისათვის.

მ. ანასაშვილი.

ბეჯითად შრომობენ თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები წითელწყაროს რაიონის ზვრებში. სტუდენტური რთველის ყოველი დღე დამკვრელური უნდა იყოს! ასე გადაწყვიტეს უნივერსიტეტის, სასოფლო-სამეურნეო, პოლიტექნიკური და ზოოვეტერინარული ინსტიტუტის სტუდენტებმა.

სურათებზე: რთველში მუყაითი შრომით თავი ისახელა უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა მანანა გნოლიძემ; შესვენების დროს მწიფე მტევნებს მიირთმევენ ზოოვეტერინარული ინსტიტუტის სტუდენტები სოფელ საბათლოს შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის რთველში.

ი. ზლამოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პარტიული ცხოვრება: ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები

კრების პრეზიდიუმი

კრების პრეზიდიუმის არჩევა, ერთი შეხედვით, თუმცა მარტივი საკითხია, მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა აქვს. არის შემთხვევები, როცა პრეზიდიუმის წევრებად ერთსა და იმავე პირებს ირჩევენ. ზოგიერთი იმდენად ეჩვევა პრეზიდიუმში არჩევას, რომ ჯერ კიდევ კრების, თათბირის გახსნამ[…]

[illegible]

[…]ლიად შეუწყნარებელია ასეთი რეპლიკები: „მე რას მაკრიტიკებ, საკუთარ თავს შეხედე!", „პირადად თქვენ იმ დროს სად იყავით?", „შენ როგორ გაქვს საქმე?" და სხვა. სწრაფად მოიქცევიან კრების, აქტივის, თათბირის[…]

[…]რომ არჩეულ იქნეს პარტიული კრების პრეზიდიუმში. პრეზიდიუმის შემადგენლობაში ამა თუ იმ ამხანაგის არჩევის მიზანშეწონილობის საკითხს პარტიული კრება გადაწყვეტს...

[illegible]

შ. ბაბაძე,
საქართველოს კომპარტიის [illegible]

ბოლშაია გრუზინ-სკაია, სახლი 5

რეპორტაჟი ხალხთა მეგობრობის მუზეუმიდან

რამდენიმე დღეში, იძულებითი „ანტრაქტის“ შემდეგ, რომელიც შენობის რემონტით იყო გამოწვეული, კვლავ ხელმართმოუჭრელად გაიღებს კარს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის მოსკოვის ფილიალი.

...მოსკოვი, ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩა, სახლი 5. ამ სახლს საოცარი ბედი ხვდა წილად. იგი XVIII საუკუნის დამდეგს აშენდა, მასში შერწყმულია რუს და ქართველ ხუროთმოძღვართა ოსტატობა, გადაურჩა უამრავ ხანძარს და რამდენჯერმე გადაკეთდა შიგნით. მისი წარსული განუყრელად არის დაკავშირებული მოსკოვში ქართველთა დასახლების ისტორიასთან.

დღეს ძნელი წარმოსადგენია, რომ აქ, ხმაურიან ქუჩებში, აჯანყების მოედანზე მაღლივი შენობის გვერდით, ზოოპარკთან, გეოლოგიის სამინისტროს კორპუსების მახლობლად ოდესღაც „ზელმწიფის ბაღი“ და სოფელი ვოსკრესენსკოე იყო. 1729 წელს იგი საჩუქრად მიიღო ქართველთა მეფემ ვახტანგ მეექვსემ. სწორედ იმ დროიდან მოდის ისტორიული ადგილის დასახელება — გრუზინი. აქაური ქუჩების დასახელებანიც — ბოლშაია და მალაია გრუზინსკაია, გრუზინსკი ვალი — მოგვაგონებენ იმ ქართველ პატრიოტთა დასახლებას, რომლებმაც, უცხოელ დამპყრობთაგან დევნილებმა, რუსეთს შეაფარეს თავი.

საქართველოს, რომლის ხალხსაც მაშინ გადაშენების საფრთხე შეექმნა, სხვა გამოსავალი არა ჰქონდა იმის გარდა, რომ რუსეთის მხარდაჭერით შებმოდა დამპყრობლებს. ეს გრძელი და ძნელი გზა 1783 წლის 24 ივლისს დადებული გეორგიევსკის ტრაქტატით დაგვირგვინდა, რომელიც რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის პირველი მანიფესტი გახდა.

რუს-ქართველთა ერთობის ფუძემდებელთა ზრახვები ზუსტად გამოხატა XIX საუკუნის დიდმა ქართველმა პოეტმა ილია ჭავჭავაძემ. რა დასამალია: ჩვენ დიდად გვიყვარს ჩვენი სამშობლო, გვიყვარს რუსეთიც, — წერდა იგი. — ეს იმდენად ბუნებრივია, იმდენად ნათელია, რომ ილი გასაგებია. არსებითად რუსეთმა იხსნა ჩვენი ქვეყანა თავდასხმებისა და განადგურებისაგან, იგი დღესაც გვეხმარება, რომ არ განმეორდეს წარსულის ტანჯვა-ვაება...

მემორიალური სახლის ექსპოზიცია არც ისე დიდია — ერთ საათში დიჭად შეგიძლიათ შემოიაროთ ყველა დარბაზი. მაგრამ უცნაურია: ექსკურსიის შემდეგ გაივლი მუზეუმის ლამაზ ჭიშკარს, მეთვრამეტე საუკუნიდან პირდაპირ ჩვენს დროში აღმოჩნდები და გავიწყდება, რომ მარჯვნივ, „ბარიკადნაიას“ მეტროს სადგურისკენ აპირებდი წასვლას. შენდა უნებურად მეორე მხარეს მიდიხარ, შეჩერდები დიდი შოთა რუსთაველის ძეგლთან, ათვალიერებ სტელის დეტალებს, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის იუბილესთვის აღმართავთ, ტაბები წმინდა გიორგის ქართული ეკლესიის ცქერით... აქ, ჭეშმარიტად, ყოველ ქვას ისტორიის სურნელი ასდის...

მუზეუმის დარბაზებში „მოგზაურობა“ გეხმარება უკეთ ჩასწვდე რუს-ქართველთა ურთიერთობის ფესვებს, გაიგო ორი ხალხის დაახლოების, იმის განვითარების დიადი აზრი, რასაც დღეს ინტერნაციონალიზმს ვუწოდებთ.

აი, მუზეუმის ერთ-ერთი დარბაზი. აქ განულაგებიათ 1812 წლის სამამულო ომის ქართველ მონაწილეთა პორტრეტების გალერეა, მათ შორისაა პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი, მხედართმთავარი, ბოროდინოს ბრძოლის გმირი, რომელიც ლეგენდარულ სუვოროვის ფლეშებს იცავდა. აქვეა მისი ძმის რომანის, ძმები ვლადიმერ და ლევ იაშვილების პორტრეტები...

ბევრმა არ იცის, რომ ბოროდინოს ველზე რუსებთან მხარდამხარ რუსეთს იცავდა 12 ქართველი გენერალი — იმათი შთამომავალნი, ვინც მეფე ვახტანგ მეექვსესთან ერთად ჩამოვიდა მოსკოვს.

ორი ეროვნული კულტურა მხარდამხარ ვითარდებოდა, ერთმანეთს ამდიდრებდა. სწორედ აქ, მოსკოვში დაამთავრა მეცნიერმა ვახუშტი ბაგრატიონმა თავისი კაპიტალური შრომა საქართველოს ისტორიაში. ერთ-ერთ სტენდზეა იმ ატლასის ფრაგმენტი, რომელ-...

ა. ა. გრომიკო მოსკოვში დაბრუნდა

ფინეთის დღეები საქართველოში

ეს აახლოებს ადამიანებს

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები საქმიანი იუწყება

ქვეყნად მშვიდობისათვის

გამოხმაურება

პროგრესული მსოფლიო საზოგადოებრიობა საბჭოთა ხელმძღვანელს იცნობს, როგორც გამოჩენილ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს, რომელსაც დიდი პირადი წვლილი შეაქვს მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცებაში. ახლოთია ლაიტმოტივი უცხოთ საერთაშორისო გამოხმაურებისა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ორგზის სოციალისტური შრომის გმირის კ. უ. ჩერნენკოსათვის ლენინის ორდენისა და მესამე „ნამგალისა და უროს“ ოქროს მედლის გადაცემის გამო. განიხილავენ და განმარტავენ რა ამხანაგების კ. უ. ჩერნენკოსა და დ. თ. უსტინოვის სიტყვებს მაღალი ჯილდოს გადაცემის ცერემონიაზე, ამასთან კ. უ. ჩერნენკოს სიტყვას სსრ კავშირის მწერალთა კავშირის საიუბილეო პლენუმზე, საზღვარგარეთის ქვეყნების პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ხაზს უსვამენ, რომ საბჭოთა კავშირს გადაწყვეტილი აქვს ყოველი ღონე იხმაროს ომის საფრთხის შესუსტებისათვის, საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძვლების განმტკიცებისათვის.

საბჭოთა ადამიანები, სოციალისტური ქვეყნების მშრომელები, მთელი პროგრესული საზოგადოებრიობა კარგად იცნობენ კ. უ. ჩერნენკოს თვალსაჩინო დამსახურებას სსრ კავშირის ლენინური საშინაო და საგარეო პოლი-...

რა თქმა უნდა, თუ იქნება ურთიერთგაგება, იყოს კაპიტალისტური სახელმწიფოების პატიოსანი და კეთილმოსურნე პარტნიორი თანამშრომლობის საქმეში, ამასთან კ. უ. ჩერნენკომ თქვა, რომ იმპერიალიზმის მზარდი აგ-...

რომლობის პრინციპების დამკვიდრების კურსს.

საბჭოთა ხელმძღვანელმა, წერს იტალიური „კორიერე დელა სერა“, სავსე გახადა ამერიკის შეერთებული შტატების მისწრაფება გაამჯობესოს ურთიერთო-...

საბჭოთა მეცნიერების მიმართვა

● ჩილე უსწორდებიან დემონსტრანტებს

ქართველი მესხიობების წარმატება

სამხედრო კომისარიატები დღესასწაულის წინ

პენსიის სრული მაქსიმალური ოდენობის დამატებით დარიცხვა, აგრეთვე პენსიების მიცემა იმ სამხედრო მოსამსახურეთა ცოლებისათვის, რომლებიც დაიღუპნენ სსრ კავშირის დაცვის ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეო-...

სახალხო დღესასწაულებზე



სამშობლო ხევსურისა

შატილი... ორიოდე წელიწადი, თითქოსდა, დიდი დრო არ არის, თვალის ერთი დახამხამება, მაგრამ ხევსურეთის სამომავლო პერსპექტივებისათვის ამ ორ წელიწადს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ორიოდე წლის წინათ შატილიონებს ბევრი დღევანდელი სიკეთე ენატრებოდათ. აი თუნდაც ტელევიზორი...

წინაპართა საცხოვრებლის მოვლა-პატრონობა დიდებული და კეთილშობილური საქმეა. შატილის ციხე-კოშკები დანგრევას გადაურჩა. ხევსურები უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით არიან გამსჭვალული ყველას მიმართ, ვინც ასე გულმოდგინედ მუშაობს რესტავრაციაზე.

ხევსურები სამშობლოში ბრუნდებიან. დაბრუნდა ერთი კარგი შატილიონი ვაჟკაცი მიხეილ ჭინჭარაულიც. იგი თბილისში ცხოვრობდა ცოლ-შვილით. ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატია. ორც დაფიქრებულა ისე მიატოვა „უზრუნველი ცხოვრება". ამოვიდა და „შატილს დაჯდა"... მეუღლე პედაგოგია, ბარისახოს სკოლა-ინტერნატში ასწავლის. ახლა იმ დღეს ელოდებიან შატილში სკოლა-ინტერნატი რომ აშენდება და პატარა შატილიონებს ასწავლის უცხოთა ენას და სამშობლოს სიყვარულს.

შესანიშნავი ახალგაზრდაა შატილის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ჭინჭარაული. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ პირდაპირ სამშობლოში წამოვიდა. შეირთო ცოლი, არბოტიონთა თემიდან. მარშან შატილობას ქორწილი გადაიხადეს. დღეს უკვე ქალიშვილის მშობლები არიან.

მეორე დღეს ხევსურებს საზეიმო ვითარებაში გადასცეს ახალი, მშვენიერი ორსართულიანი სახლები. ახალმოსახლეობა იზეიმეს შატილის ძეგლის მცველის ბესო ჭინჭარაულის, ამ სახლების მშენებლის ბაბო ჭინჭარაულისა და შატილიონთა ვეფხის მიხეილ ჭინჭარაულის ოჯახებმა.

მერე ზეიმმა ქვედა პლატოზე გადაინაცვლა. აქ გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი მ. კვერსელიძე, რესპუბლიკის ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ქ. შავიშვილი, შატილის უბნის ექიმი მ. ჭინჭარაული, ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსი, პროფესორი ი. ციციშვილი, ხალხური მთქმელი ი. ქართველიშვილი, შატილის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი მ. ჭინჭარაული.

ითქვა, რომ ბევრი რამ გაკეთდა ხევსურეთში, რომ ბარისახოსა და შატილში აციაფდა ცისფერი ეკრანი, გაყვანილია ბარისახორომჯის საავტომობილო გზა, მალე სოფელ გიორგიწმინდასაც ეწვევა გზა. აპირებენ გზა გაიყვანონ სოფელ გუდანსა და ბაცალიგოს შორის. გაიხსნა ახალი სკოლები, სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტები, საყოფაცხოვრებო მომსახურების პუნქტები, ბარისახოში აშენდა ახალი სასტუმრო და კავშირგაბმულობის სახლი, ხახმატში შენდება საცხენოსნო ტურიზმის ბაზა, დამთავრდა ახალი გუდანის მშენებლობა და სხვა.

შატილიონებმა გულითადი მადლობა გადაუხადეს საქართვე- [illegible]

ჭადრაკი

მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში

მოსკოვში

კასპაროვის მეორე ტაიმ-აუტი

[illegible]

მოკლედ

[illegible]

ნახეთ, ხომ არ მოგიგიათ?

ოფიციალური ცნობა

საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1984 წლის მეჩვე გათამაშების ლატარიის მოგებათა ტირაჟი გაიმართა 1984 წლის 25 სექტემბერს ქ. წალენჯიხაში. ტირაჟში გათამაშდა 860.000 მანეთის 201 ნივთმოგება და 199.799 ფულადი მოგება. მოგება ხვდა ლატარიის სერიებისა და ბილეთების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ბილეთის №	მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა	მოგებული ნივთის ღირებულება
28006	222*)	50 მანეთი	—
28016	099*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
28021	012*)	25 მანეთი	—
28037	486*)	მტვერსასრუტი	37—00
[illegible]			
29342	382*)	50 მანეთი	—
29360	486*)	25 მანეთი	—
29361	021*)	50 მანეთი	—
29362	164*)	45 მანეთი	—
29368	494*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
29385	050*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
29390	058*)	100 მანეთი	—
29395	016*)	ელექტროსამოვარი	21—00
29404	148*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
29409	158*)	ავტომანქანა „ჟიგული-ვაზ-21011"	7800—00
29416	058*)	40 მანეთი	—
[illegible]			
30737	149*)	25 მანეთი	—
30738	334*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
30741	232*)	45 მანეთი	—
30744	046*)	ავტომანქანა „ჟიგული" ვაზ-2105	8800—00
30750	428*)	მაცივარი „მინსკ"	290—00
30779	488*)	45 მანეთი	—
30788	390*)	40 მანეთი	—
30792	453*)	20 მანეთი	—
30796	898*)	კონდიციონერი	387—00
30807	374*)	ახი ლატარიის ბილეთი	30—00
30810	060*)	ელექტროსამოვარი	21—00
[illegible]			

მოგებათა მიღების წესი

[illegible]

ჩვენი ტელეეკრანებზე

მოსკოვი

[illegible]

თბილისი

[illegible]

თეატრი

[illegible]